საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0001269729

29/09/2023

„შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართ №1 - ში და 2021 წლის 28 მაისის №49 7787 სხდომის ოქმში ტექნიკური შესწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497867 გადაწყვეტილების დანართ №1-ში განხორციელდეს ტექნიკური შესწორება და „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვროს შემდეგი სახით: " ***ფსიქოლოგიის ბაკალავრი"***;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმის 01 ნაწილში, „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღმწერ ცხრილში განხორციელდეს ტექნიკური შესწორება და „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვროს შემდეგი სახით: "***ფსიქოლოგიის ბაკალავრი"***;
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 29 სექტემბრის №1269458 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2);

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180^2-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი